საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დაკემბრიდან. № 165 (185) პარასკევი, 23 აგვისტო. 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

„და ეს ფიქრია ეთერ კავკასის თავისუფლება“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი
პრეზიდენტ ბ. ელცინს, რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას

გილოცავთ გამარჯვებას. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ რუსეთის სფს რესპუბლიკის დემოკრატიულ ძალებს. ფიცხადებთ თანაგრძნობას თავისუფლების დამცველთა დაღუპვის გამო.

პუტჩის პირველივე დღეს საქართველოში გამოგზავნეს იაზოვის მოადგილე არმიის გენერალი ყურავლიოვი, რომელმაც რამდენიმე ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს ხელმძღვანელობას და შეეცადა უბრძოლველად ჩაერეულიყო ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. სამხედროებმა კონტროლი დაუწესეს აეროპორტს, ვაგზლებს, ცდილობდნენ განუბორციელებინათ მანეგრები.

საბჭოთა აფხაზეთის ცენტრისტულმა ძალებმა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ თვითმარქვია ხელისუფლებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი თვითმარქვია საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტს. მას აგრეთვე მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რაც გამოცხადებული იყო მათს გაზეთ „ცხოვრებაში“.

საქართველოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ 20 აგვისტოს დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ სსრ კავშირში ხალხის მიერ არჩეული ყველა პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის და აქტიურად დახმარებოდნენ სამხედრო აგრესიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას — პრეზიდენტს და პარლამენტს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევიათ თავიანთი პოზიციებისთვის, არ უცვნიათ საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტი და მთლიანად უჭერდნენ და უჭერენ მხარს რუსეთის სფს რესპუბლიკის პრეზიდენტს ელცინს და პარლამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.
თბილისი. 1991 წლის 22 აგვისტო.

განცხადება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის

საქართველოს რესპუბლიკა მთელ მსოფლიოსთან ერთად უაღრესად გახარებულია მოსკოვის რეაქციული გადატრიალების ჩაშლით. როგორც პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, დემოკრატიამ კიდევ ერთხელ იზეიმა, რაც იმის ნიშანია, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალ ხალხებს უნდათ, რომ ჰქონდეთ თავისთვის სასუფევლი მთავრობის არჩევის უფლება და შესაძლებლობა. სწორედ ეს მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ უნათებს გზას საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებს, რომელთაც თვითონ სურთ იყვნენ საკუთარი ბედ-იღბლის განმგებელნი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

სამცხე-ჯავახეთის დროებითი საგანგებო შტაბის უფროსად კ. ბ. მელაძის დანიშვნის შესახებ

1. დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ქართული ოჯახის დასაბინავებლად, არსებული საცხოვრებელი ფონდის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით 1991 წლის 26 ივლისის დადგენილების შესაბამისად შექმნილი სამცხე-ჯავახეთის (ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონები) დროებითი საგანგებო შტაბის უფროსად დაინიშნოს კიაზო გიორგის ძე მელაძე, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოციაცია „ჯავახეთის“ ვიცეპრეზიდენტი.

2. დავალოს სამცხე-ჯავახეთის დროებითი საგანგებო შტაბის უფროსს კიაზო გიორგის ძე მელაძეს წარმოადგინოს შტაბის შემადგენლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ბ. ბ. ქურასბედიანის ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დანიშნულ გულბარზ გრიგოლის ძე ქურასბედიანი ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

დროებითი საგანგებო შტაბის მუშაობის უზრუნველყოფისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ

დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ოპერატიულად დასაბინავებლად, საცხოვრებელი ფონდების მასქმიმალურად გამოყენების მიზნით და დაზარალებული ოჯახების ჩასახლების, მათი ჩაწერის და შრომითი მოწყობის საკითხების მოსაგვარებლად განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. გამოიყოს დროებითი საგანგებო შტაბის სამუშაო ადგილები:
ნინოწმინდის რაიონში — სოფელი გორელოვკა;
ახალქალაქის რაიონში — ახალქალაქის რაიკომის შენობაში აეპარაში სტაქიით დაზარალებულთა ჩასახლების შტაბის 1 ოთახი;
ახალციხეში — რაიკომის შენობაში 1 ოთახი.

2. ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის შინაგან საქმეთა განყოფილებებმა გამოყონ ორ-ორი თანამშრომელი დროებითი საგანგებო შტაბის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

3. საქართველოს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების კომიტეტმა უზრუნველყოს საწვავით დროებითი საგანგებო შტაბი ახალციხის ნავთობპროდუქტების ბაზიდან.

4. იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს დროებითი საგანგებო შტაბი ნოტარიუსით.

5. ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის კავშირგაბმულობის განყოფილებებმა უზრუნველყონ დროებითი საგანგებო შტაბის ოთახები სატელეფონო კავშირით.

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დროებით საგანგებო შტაბს გამოუყოს 2 ავტომანქანა: „გაზ-24“ და „ნივა“.

7. ახალციხის ბანკს დაევალოს მოახდინოს დროებითი საგანგებო შტაბის მიერ შესაფერი სახლებისთვის ანგარიშსწორება.

8. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სახლების შესყიდვის დროს მოუხსნას დროებით საგანგებო შტაბს სახელმწიფო საბაჟო გადასახადი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

დროებითი საგანგებო შტაბის მუშაობის უზრუნველყოფისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ

დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ოპერატიულად დასაბინავებლად, საცხოვრებელი ფონდების მასქმიმალურად გამოყენების მიზნით და დაზარალებული ოჯახების ჩასახლების, მათი ჩაწერის და შრომითი მოწყობის საკითხების მოსაგვარებლად განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ შეიტანოს თავისი საკანონმდებლო საქმიანობა;

2. აღმასკომთან ერთად შეიმუშაოს ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობაზე გადასვლის გეგმა;

3. ერთობლივად შეიმუშაოს ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და მოქალაქეობის კანონი;

4. განხორციელდეს მოქალაქეობის მიღება;

5. მოეწყოს სახელმწიფოს მეთაურის საერთო-სახალხო პირდაპირი არჩევნები ალტერნატიულ საფუძველზე;

6. რესპუბლიკის მოქალაქეთა ყრილობაზე მისაღებად გამოვიტანოთ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურის პროექტი;

7. სახელმწიფოს არჩეულმა მეთაურმა ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ორგანიზაცია გაუწიოს პარლამენტის შექმნას.

აღმასრულებელი კომიტეტი მტკიცედ აცხადებს:

— ხელისუფლების ორგანოების მხრივ პროვოკაციული მოქმედების გამო შესაძლო ნეგატიური შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ყოფილი ავტონომიის უზენაეს საბჭოს ეკისრება;

— ყოველგვარ მოქმედებას თუ უმოქმედობას, რომელიც მიმართული იქნება ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, მისი ისტორიული საზღვრების მთლიანობის, ბუნებრივი და მატერიალური ფასეულობების წინააღმდეგ, ყველაზე გაბედული წინააღმდეგობა მოჰყვება;

— ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერად არჩეული სახალხო ხელისუფლების ორგანოს — აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ ინფორმაციის მასობრივი საშუალებების (ტელევიზია, რადიო, პრესა) მეშვეობით სახელის გატეხისა და ცილისწამების მიზნით პროპაგანდისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეკისრება.

აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებლობით აცხადებს:

რომ თავისი საქმიანობის მიზნად ისახავს შექმნას სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული სამართლებრივი სტრუქტურები, რომელსაც საფუძვლად დაედება დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნისადმი მისი მისწრაფების რეალიზაციის მიზნით ჩეჩნეთის სახელმწიფო-ტერიტორიულ წყობას მის ისტორიულ საზღვრებში ეწოდოს ჩეჩნეთის რესპუბლიკა.

სახელმწიფო წყობის საკითხი გადაწყდეს ჩეჩნეთ ხალხის მორიგ ყრილობაზე.

„ეს ფიქრია ეთერ კავკასის თავისუფლება“

ბოლისმინა რა ჩეჩნეთ ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში და განიხილა მისი თავმჯდომარის მოხსენება, კონგრესი აღნიშნავს:

— მკვეთრად გამწვავდა პოლიტიკური სიტუაცია;

— გააქტიურდა დემოკრატიული ძალების საქმიანობა;

— გაერთიანდა პარტიებისა და მოძრაობათა ძალისხმევა, მათ ცნეს და მხარს უჭერენ ჩეჩნეთ ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის აღმასკომის ყრილობას, პროგრამებსა და საქმიანობას;

— მმართველი ზედა ფენა მოსწყდა ხალხის საზრუნავსა და მისწრაფებებს, რთულდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ვერ წყდება;

— გაძლიერდა რეაქცია და სუკის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის სამართალსაწინააღმდეგო მოქმედება მოსახლეობის წინააღმდეგ.

რესპუბლიკაში ვითარების გამწვავების მთავარი მიზეზებია:

— რესპუბლიკის ფაქტობრივი მდგომარეობა კოლონიის სტატუსში;

— დ. ძაგაევს ერთპიროვნულად უპყრია სახელმწიფო და პარტიული ძალაუფლება თავისი დამქაშების, სააპარატო თამაშის, ინტრიგების, „რვაფეხას“ სისტემის მეშვეობით, როცა სრულ უსუსურობას იჩენენ ყოფილი ავტონომიის პარლამენტის წევრები, რომლებმაც დეპუტატის უფლებამოსილებათა ვადის გაგრძელებაზე ნდობის ვოტუმი ვერ მიიღეს სუვერენულობის სტატუსზე რესპუბლიკის გადასვლისას;

— ძველი აპარატის პოლიტიკური ლაჩრობა და განახლებულ ვითარებაში მართვის უუნარობა, მართვის დემოკრატიულ სამართლებრივ სტრუქტურაზე გადასვლის პირობებში მმართველი ზედა ფენის მატერიალური და ძალაუფლებითი პრივილეგიების დაკარგვის შიში;

— სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ სამართლებრივ პირობებზე გადასასვლელად საფუძვლების შექმნის თაობაზე კონგრესის (ყრილობის) გადაწყვეტილებათა ძალადობრივი ბლოკადა ერთადერთი მიზნით — ძალაუფლების სათავეში დატოვონ დ. ძაგაევი.

გაითვალისწინა რა შექმნილი ვითარება და ჩეჩნეთ ხალხის უარყვეთ სურვილი — შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, კონგრესმა

გადაწყვიტა:

1. კონგრესი (ყრილობა) ცნოს დამფუძნებლად.

2. ჩეჩნეთ ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისა და დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნისადმი მისი მისწრაფების რეალიზაციის მიზნით ჩეჩნეთის სახელმწიფო-ტერიტორიულ წყობას მის ისტორიულ საზღვრებში ეწოდოს ჩეჩნეთის რესპუბლიკა.

3. დამტკიცდეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის დროშა. აღწერა.

დამტკიცდეს საგერბო სიმბოლიკა. აღწერა.

4. ბათილად იქნეს ცნობილი კოლონიის სტატუსით არსებული ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს ყველა დადგენილება და კანონი 1990 წლის 28 ნოემბრიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

5. ვითვალისწინებთ რა ისტორიულ გამოცდილებას, ეროვნულ თავისებურებებსა და სარწმუნოებას, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო წყობის უმაღლეს პროგრამად ცხოვრობენ იქნეს საერთო-ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებანი.

6. ვითვალისწინებთ რა ინფლაციის, მკვეთრი გაძვირების და ყოფილი ავტონომიის პარლამენტის უმოქმედობის შედეგად გაღატაკებული მშრომელების საგანგებო მდგომარეობას, დემოკრატიულ პრინციპებზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს შექმნამდე, რომელიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისი იქნება, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს წინადადება მიეცეთ ყველაფერი იღონონ მოსახლეობის უზრუნველსაყოფად საშუალო საარსებო დონის ნორმებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისა და შემოსავლის ხარჯზე.

7. საფუძვლად იქნეს მიღებული სამხედრო კომისრის ცნობა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქის მიერ სამსახურის გაევლის წესის შესახებ.

8. მოწონებული იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა და მუშაობა, რომელიც კონგრესის (ყრილობის) შესვენებისას გასწია.

9. უარყოფილ იქნეს ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სსრ კავშირთან და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე, რომელიც ძირს უთხრის ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს და არავითარი ძალა არა აქვს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სსრ კავშირთან და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ხელშეკრულებათა დადების საკითხი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ჩეჩნეთ ხალხის კონგრესის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შემდეგ და ამის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ ჩეჩნეთ ხალხს, რომელმაც ეს გამოხატა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწყობილ რეფერენდუმზე.

10. უარყოფილ იქნეს ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი რუსეთის სფსრ პრეზიდენტის არჩევნებში ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობის და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხთა ყირიმლების მოწყობის შესახებ.

მიმართოთ ამმრჩევლებს, რათა გამოიწვიონ ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შემავალი დეპუტატები, რომლებმაც მიიღეს ეს დადგენილებანი, ძირს რომ უთხრის ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

11. გაფრთხილება მიეცეთ დ. ზაგაევს, შინაგან საქმეთა მინისტრს უ. ალსულთანოვს, სუკის თავმჯდომარეს ვ. კოჩუბეის და რესპუბლიკის პროკურორს ა. პუშკინს, რომლებიც შეგნებულად აწყობენ და ახორციელებენ პროვოკაციული ხასიათის სამართალსაწინააღმდეგო აქტებს და მოქმედებას. ასეთი მოქმედების შედეგებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს დ. ზაგაევს.

დაეგალოს სამართლის საბჭოს, რომ იურიდიული შეფასება მისცეს აღნიშნულ პირთა მოქმედებას.

12. უარყოფილ იქნეს ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს დადგენილება 26 აპრილის — რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის შესახებ რუსეთის სფსრ კანონის მიღების დღის ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამართლიანობის დღედ გამოცხადების შესახებ, სანამ იგი მთლიანად არ შესრულდება.

13. ალტერნატიული სამსახურისა და სამხედრო [illegible] ზაციის მიზნით, აგრეთვე [illegible]ტ-

სსრ კავშირის პრეზიდენტს, რუსეთის სფსრ პრეზიდენტს და პარლამენტს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

ძველი და ტანჯვით აღსავსე ისტორიული გზა გამოიარა ჩეჩენმა ხალხმა. გრძელდება მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ბედარჩენილათვის. დემოკრატიული გარდაქმნებისა და აღიარებული საერთაშორისო ნორმების შესაბამის გზაზე დადგომის პროცესი, რომელსაც სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის პრეზიდენტები ახორციელებენ, არათუ ხელს არ უწყობს მოვლენათა განვითარებას ასეთი მიმართულებით, არამედ აბრკოლებს კიდეც ხალხის ნების აღსრულებას.

ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც ისარგებლა შექმნილი ვითარებით, თავის ხელში მოუყარა თავი ხელისუფლების ყველა სტრუქტურას, გაწაფულად იყენებს ეროვნულ თავისებურებებს და მოსყიდვის, მეტრობამეობის, მომხვეჭელობის, ინტრიგების ტოტალური სისტემა შექმნა, ხალხი სრული სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

მთელი ძალების საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, რომლებიც ცნობენ და მხარს უჭერენ ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩეჩნეთა კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის პროგრამას მართვის დემოკრატიულ სამართლებრივ სტრუქტურებზე გადასასვლელად საფუძველების შექმნის თაობაზე კონგრესის (ყრილობის) გადაწყვეტილებათა ძალადობრივი ბლოკადა ერთადერთი მიზნით — ძალაუფლების სათავეში დატოვონ დ. ზაგაევი.

გაითვალისწინა რა შექმნილი ვითარება და ჩეჩენი ხალხის უარყვეთ სურვილი — შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, კონგრესმა

გადაწყვიტა:

1. კონგრესი (ყრილობა) ცნოს დამფუძნებლად.

2. ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისა და დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნისადმი მისი მისწრაფების რეალიზაციის მიზნით ჩეჩნეთის სახელმწიფო-ტერიტორიულ წყობას მის ისტორიულ საზღვრებში ეწოდოს ჩეჩნეთის რესპუბლიკა.

3. დამტკიცდეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის დროშა. აღწერა.

დამტკიცდეს საგერბო სიმბოლიკა. აღწერა.

4. ბათილად იქნეს ცნობილი კოლონიის სტატუსით არსებული ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს ყველა დადგენილება და კანონი 1990 წლის 28 ნოემბრიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

5. ვითვალისწინებთ რა ისტორიულ გამოცდილებას, ეროვნულ თავისებურებებსა და სარწმუნოებას, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო წყობის უმაღლეს პროგრამად ცხოვრობენ იქნეს საერთო-ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებანი.

6. ვითვალისწინებთ რა ინფლაციის, მკვეთრი გაძვირების და ყოფილი ავტონომიის პარლამენტის უმოქმედობის შედეგად გაღატაკებული მშრომელების საგანგებო მდგომარეობას, დემოკრატიულ პრინციპებზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს შექმნამდე, რომელიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისი იქნება, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს წინადადება მიეცეთ ყველაფერი იღონონ მოსახლეობის უზრუნველსაყოფად საშუალო საარსებო დონის ნორმებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისა და შემოსავლის ხარჯზე.

7. საფუძვლად იქნეს მიღებული სამხედრო კომისრის ცნობა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქის მიერ სამსახურის გაევლის წესის შესახებ.

8. მოწონებული იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა და მუშაობა, რომელიც კონგრესის (ყრილობის) შესვენებისას გასწია.

9. უარყოფილ იქნეს ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სსრ კავშირთან და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე, რომელიც ძირს უთხრის ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს და არავითარი ძალა არა აქვს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სსრ კავშირთან და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ხელშეკრულებათა დადების საკითხი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ჩეჩენი ხალხის კონგრესის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შემდეგ და ამის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ ჩეჩენ ხალხს, რომელმაც ეს გამოხატა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწყობილ რეფერენდუმზე.

10. უარყოფილ იქნეს ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი რუსეთის სფსრ პრეზიდენტის არჩევნებში ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობის და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხთა ყირიმლების მოწყობის შესახებ.

მიმართოთ ამმრჩევლებს, რათა გამოიწვიონ ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შემავალი დეპუტატები, რომლებმაც მიიღეს ეს დადგენილებანი, ძირს რომ უთხრის ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

11. გაფრთხილება მიეცეთ დ. ზაგაევს, შინაგან საქმეთა მინისტრს უ. ალსულთანოვს, სუკის თავმჯდომარეს ვ. კოჩუბეის და რესპუბლიკის პროკურორს ა. პუშკინს, რომლებიც შეგნებულად აწყობენ და ახორციელებენ პროვოკაციული ხასიათის სამართალსაწინააღმდეგო აქტებს და მოქმედებას. ასეთი მოქმედების შედეგებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს დ. ზაგაევს.

დაეგალოს სამართლის საბჭოს, რომ იურიდიული შეფასება მისცეს აღნიშნულ პირთა მოქმედებას.

12. უარყოფილ იქნეს ყოფილი ავტონომიის უზენაესი საბჭოს დადგენილება 26 აპრილის — რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის შესახებ რუსეთის სფსრ კანონის მიღების დღის ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამართლიანობის დღედ გამოცხადების შესახებ, სანამ იგი მთლიანად არ შესრულდება.

13. ალტერნატიული სამსახურისა და სამხედრო [illegible] ზაციის მიზნით, აგრეთვე [illegible]ტ-

რალური დაქვემდებარების ჯარებთან, სამხედრო სამინისტროებთან და უწყებებთან ურთიერთმოქმედების და ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის ინტერესების დაცვის მიზნით, შეიქმნას აღმასკომთან თავდაცვის კომიტეტი.

14. გაიკიცხოს და გაფრთხილება მიეცეს სამოკავშირეო და ფედერაციული ხელშეკრულებების ხელმოწერ დელეგაციას, რადგან ამ აქტებს მძიმე შედეგები მოჰყვება ჩეჩენი ხალხისათვის.

15. შემუშავდეს და დამტკიცდეს პირობები, რომელთა შესრულების დროს შესაძლებელი იქნება ხელშეკრულება სსრ კავშირთან და სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულება — რუსეთის სფს რესპუბლიკასთან.

16. ჩეჩენი ხალხის ნების შესაბამისად, რომელიც საერთო-ეროვნული კონგრესის (ყრილობის) გადაწყვეტილებებით გამოიხატა, უარყოფილ იქნეს საკავშირო მთავრობის ყველა რეპრესიული აქტი, რომლებიც აბდურაპმან ავტორხანოვის წინააღმდეგ განხორციელეს, და ვცნოთ ისინი სამართალსაწინააღმდეგოდ.

ა. ავტორხანოვი გამოცხადდეს და ცნობილ იქნეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქედ.

რევოლუციის პროსპექტს დაერქვას აბდურაპმან ავტორხანოვის სახელი.

17. ლენინის სახელობის პროსპექტს დაერქვას შეიხ მანსურის სახელი.

18. აღმასრულებელ კომიტეტს გამოეცხადოს ნდობა და მიეცეს სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლება.

ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის (ყრილობის) გადაწყვეტილება

(ქ. გროზნო. 1991 წლის 8 ივნისი).

ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უზენაეს საბჭოს

სახალხო ხელისუფლების უმაღლესმა ფორუმმა — ჩეჩენი ხალხის დამფუძნებელმა ყრილობამ 1991 წლის 8 ივნისს ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა მის ისტორიულ საზღვრებში.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მთელი სახალხო ხელისუფლება გადაეცა აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ყრილობამ აირჩია, სანამ დემოკრატიული გზით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, შეიქმნებოდეს სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანო.

რესპუბლიკაში კონფორნტაციის თავიდან აცილების, ძალისხმევისა და მოქმედების კოორდინაციის, წესრიგისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ შეიტანოს თავისი საკანონმდებლო საქმიანობა;

2. აღმასკომთან ერთად შეიმუშაოს ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობაზე გადასვლის გეგმა;

3. ერთობლივად შეიმუშაოს ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და მოქალაქეობის კანონი;

4. განხორციელდეს მოქალაქეობის მიღება;

5. მოეწყოს სახელმწიფოს მეთაურის საერთო-სახალხო პირდაპირი არჩევნები ალტერნატიულ საფუძველზე;

6. რესპუბლიკის მოქალაქეთა ყრილობაზე მისაღებად გამოვიტანოთ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურის პროექტი;

7. სახელმწიფოს არჩეულმა მეთაურმა ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ორგანიზაცია გაუწიოს პარლამენტის შექმნას.

აღმასრულებელი კომიტეტი მტკიცედ აცხადებს:

— ხელისუფლების ორგანოების მხრივ პროვოკაციული მოქმედების გამო შესაძლო ნეგატიური შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ყოფილი ავტონომიის უზენაეს საბჭოს ეკისრება;

— ყოველგვარ მოქმედებას თუ უმოქმედობას, რომელიც მიმართული იქნება ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, მისი ისტორიული საზღვრების მთლიანობის, ბუნებრივი და მატერიალური ფასეულობების წინააღმდეგ, ყველაზე გაბედული წინააღმდეგობა მოჰყვება;

— ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერად არჩეული სახალხო ხელისუფლების ორგანოს — აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ ინფორმაციის მასობრივი საშუალებების (ტელევიზია, რადიო, პრესა) მეშვეობით სახელის გატეხისა და ცილისწამების მიზნით პროპაგანდისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეკისრება.

აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებლობით აცხადებს:

რომ თავისი საქმიანობის მიზნად ისახავს შექმნას სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული სამართლებრივი სტრუქტურები, რომელსაც საფუძვლად დაედება დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნისადმი მისწრაფების ყველა მცხოვრების თანაბარი უფლებები და თავისუფლება, ეროვნული კუთვნილებისა და სარწმუნოების მიუხედავად.

მიღებულია ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის (ყრილობის) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1991 წლის 12 ივნისს.

ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ჯ. დუდაევი

ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის (ყრილობის) გადაწყვეტილება

(ქ. გროზნო. 1991 წლის 8 ივნისი).

ჩეჩენმა ხალხმა 1990 წლის 23-25 ნოემბერს საერთო-ეროვნულ ყრილობაზე, ეფუძნებოდა რა სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ, ჩეჩნეთ-ინგუშეთის კონსტიტუციებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპს, რომელიც ღაღადებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრესი წყარო და მატარებელია ხალხი, რომელსაც უფლება აქვს აღასრულოს ხელისუფლება როგორც თავისივე არჩეული სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით, ისე უშუალოდ, ყრილობის დელეგატთა პირით გამოთქმული საკუთარი ხალხის ნება და მისწრაფება ავტონომიის არსებული სტატუსის პრინციპული შეცვლისადმი, ითვალისწინებს და მხარს უჭერს რა ინგუში ხალხის მისწრაფებას თავისი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისადმი, მიიღო ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაცია და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიის უზენაეს საბჭოს საფუძვლად შესთავაზა ეს დეკლარაცია.

1990 წლის 20 ნოემბრის ყრილობამ შექმნა აღმასკომი და აღჭურვა იგი თავისი გადაწყვეტილების შესრულების კონტროლის უფლებამოსილებით, დროებით შეწყვიტა ყრილობის მუშაობა ნებისმიერ დროს სხდომის გაგრძელების უფლებით იმის მიხედვით, თუ როგორ განახორციელებდა ყრილობის გადაწყვეტილებებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის უზენაესი საბჭო.

1990 წლის 27 ნოემბერს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის სესიაზე გამოაცხადა და მიიღო დეკლარაცია ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის შესახებ.

ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული ყრილობის აღმასკომი დაეთანხმა საკითხის ასეთ დასმას იმ პირობით, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უზენაესი საბჭო, რომელსაც თავის დროზე ავტონომიის ფარგლებში საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს სტატუსი მიენიჭა, სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსის პრინციპული შეც

გამოსვლა

მტკიცება მართლაც უსაფუძვლოა

ანუ რამდენიმე აუცილებელი განმარტება

27 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა გაერთიანება „საქკურორტმშენის“ უფროსის ბატონ გურამ სვანიძის წერილი „როცა მტკიცება უსაფუძვლოა“, რომელიც იმავე გაზეთში რამდენიმე დღით ადრე დაბეჭდილი ერთი ინტერვიუს („გადაწყვეტილება უკანონოა ანუ პროფკავშირების ქონების გასხვისებას ვერ შევურიგდებით“) გამოხმაურებას, უფრო ზუსტად, ულიმლამო პასუხს წარმოადგენს.

სხვა დროს იქნებ ყურადღებაც არ მიგვეცია წერილის ავტორის მცდელობისათვის, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირები და მისი ხელმძღვანელობა საერთო საქმისაგან განზე გამდგარ, ხოლო საკუთარი თავი ერის ბედზე ჩაფიქრებულ კაცად მოგვაჩვენოს, მაგრამ სწორედ წერილის ტონმა, მისმა დამრიგებლურ-დიდაქტიკურმა ხასიათმა და ფაქტების დამახინჯებამ, სათავისოდ მოქცევა-გადაკეთებამ გადაგვაწყვეტინა საზოგადოებისათვის გვითქვა სიმართლე.

ბატონო გურამ, ვიდრე თქვენს თითოეულ „ბრალდებაზე“ პასუხს გაგცემდეთ, ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას. გამოქვეყნდა თუ არა ჩვენი ინტერვიუ მეოთხე დღესვე „საქკურორტმშენის“ კოლექტივის სახელით რედაქციაში წერილი აფრინეთ — სიმართლე ეგ კი არა, ეს არისო. ჩვენ არ ვიცით, რამ გამოიწვია თქვენი ესოდენ გულისწყრომა, ერთი კი ცხადია, ამგვარი ობერატიულობა და სისხარტე რომ საკუთარ საქმიანობაში გამოგეჩინათ, დღეს ამდენი პრობლემა აღარ გექნებოდათ, თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ. ახლა კი ყველაზე მთავარი:

თქვენი გაცხარების თავი და თავი მიზეზი თურმე ჩემი ეს სიტყვები ყოფილა: „სამშენებლო ფირმა „ლილე“ შეიქმნა საქართველოს პროფკავშირების ყოფილი ტრესტ „საქკურორტმშენის“ ბაზაზე... და დღესაც საქართველოს პროფკავშირების საკუთრებას წარმოადგენს. ამიტომ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ იგი შეყვანილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო გაერთიანებაში ისე, რომ ამის შესახებ არ არსებობს კონფედერაციის თანხმობა“.

საოცარია, მაგრამ ძალზე გულმავიწყი ყოფილხართ, ბატონო გურამ! ასე რომ არ იყოს, განა იტყოდით —ტრესტი „საქკურორტმშენი“ საქართველოს პროფკავშირებს კი არა, საკავშირო პროფკავშირებს ეკუთვნოდა და იგი 1969 წელს შეიქმნაო?! ფაქტობრივად დიახ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ აბა, გაიხსენეთ, იმ დროს მარტო ტრესტი კი არა, თვით საქართველოს პროფკავშირებიც საკავშირო პროფსაბჭოს ექვემდებარებოდა.

ეგეც არ იყოს, განა არ გახსოვთ, რომ შარშან ივნისში ჩატარდა საქართველოს პროფკავშირების რიგგარეშე ყრილობა, სადაც იგი გამოეყო საკავშირო პროფსაბჭოს, გამოცხადდა დამოუკიდებლად, ხოლო იურიდიულ პროფკავშირების ქონება მისსავე საკუთრებად. ასე რომ, ბატონო გურამ, რაგნილ ბევრი იძახოთ, „საქკურორტმშენი“ პროფკავშირების არ არისო, იგი საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის 1990 წლის 3 დეკემბრის № 7-2 დადგენილებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სხვა პროფკავშირულ ობიექტთან ერთად სწორედ საქართველოს პროფკავშირების საკუთრებად იქცა.

სხვათა შორის, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ რატომღაც გულიდან გადაგვარდათ და მხოლოდ ამიტომ შეგახსენებთ:

ფირმა „ლილე“ შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების გამგეობის 1990 წლის 20 დეკემბრის № 9-3 დადგენილებით ყოფილ ტრესტ „საქკურორტმშენის“ ბაზაზე, რომლის ძირითადი ფონდები 23,3 მლნ მანეთის სამშენებლო და სხვა ობიექტები რესპუბლიკის პროფკავშირების საკუთრებად გამოცხადდა.

აქვე შეგახსენებთ, რადგან ვინიცობაა, ესეც გადავიწყებული გაქვთ უკვე: ჩვენმა ამ გადაწყვეტილებამ საკავშირო პროფსაბჭოს, პრესის უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მეტიც, ისინი დღესაც კი აგრძელებენ თავგანწირულ ბრძოლას ამ ობიექტების უკან დასაბრუნებლად და მხოლოდ ჩვენმა პრინციპულმა პოზიციამ აიძულა საკავშირო პროფსაბჭო, ბედს შერიგებოდა და ეღიარებინა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების ქონება მისსავე საკუთრებად. ასე რომ, ბატონო გურამ, რაგნილ ბევრი იძახოთ, „საქკურორტმშენი“ პროფკავშირების არ არისო, იგი საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის „სამანი“-დ მოიხსენიებს! საქართველოს აყვავებისათვის შებრძოლთა ახალგაზრდული ნაციონალური ორგანიზაცია. თუ რომელი სახელწოდებაა სწორი, ამას შემდგომი კვლევა-ძიება დაადგენს.

◎

მოკლედ, ორიოდე სიტყვით „სამანი“-ს პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ. შეიქმნა იგი უნივერსიტეტში, საგიორგოლოა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. თავდაპირველად ორგანიზაცია უნივერსიტეტის სტუდენტობის და პროფესორ-მასწავლებლთა მცირე ნაწილს აერთიანებდა.

თანდათან იგი სცილდება სასწავლებლის ჭიდლებს და ხალხში გადის. მთელს საქართველოში იქმნება მეორადი ორგანიზაციები. რაიონებში იგზავნებიან უნივერსიტეტში მომუშავე ან მოსწავლე ორგანიზაციის წევრები, რომელნიც თავიანთ კუთხეებში უწყვეტ აგიტაციას მოსახლეობას. „სამანი“ ომის დასაწყისში აარტიურებს მუშაობას. იგი წითელი არმიის რიგებშიც იკიდებს ფეხს. ხდება გადარჩევა და ერთად შეკრება ქართველი ვაჟაცებისა, რომელიც გადიან სამხედრო მომზადებას ვითომდა ფრონტზე წასასვლელად. სინამდვილეში ესაა შეიარაღებული ჯარი, რომლის ხელმძღვანელობა ორგანიზაციის აქტიური წევრია.

შეიარაღებული ქართველობა ემზადება. ელიან ნიშანს „სამანის“ ხელმძღვანელთაგან. იბეჭდება პროკლამაციები, რომლებიც ხალხში ვრცელდება.

საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში გაცხოველებით ემზადებიან შეიარაღებული აჯანყების დასაწყებად...

არ გეგონოთ ზღაპარს ვყვებოდეს ამ ყველაფერს ყვება კაცი, რომელმაც ნახეგარი ცხოვრება ხურს. ეს იყო უზარმაზარი, მძლავრი, მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე და ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის საბჭოთა წყობის დასამხობად. სიტყვა „სამანი“ დღეს სულ უფრო ხშირად ჩანს ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამ სიტყვის გაშიფვრის ორ ვარიანტს გთავაზობენ ჩვენი მოსაუბრენი, ერთი მას ასე განმარტავენ: საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლთა ახალგაზრდული ნაციონალური ინტერნაციონალი. მეორე ნაწილი ამ ორგანიზაციას „სამანო“-დ მოიხსენიებს! საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლთა ახალგაზრდული ნაციონალური ორგანიზაცია. თუ

ამ სათაურით უკვე მეორედ იბეჭდება პუბლიკაცია ჩვენს პრესაში. შესაძლოა ზოგიერთ თქვენგანს ახსოვს 1991 წლის 7 ივლისის „საქართველოს გვარდიელში“ სტატია ამ სახელწოდებით. მას შემდეგ ერთმა თვემ განვლო...

მასალა ბევრი დაგროვდა..
სათქმელი ზღვაა...
გასაგაზრებელი უამრავი...
მოსაძებნი ხომ იმდენი... რომ რა მოგახსენოთ.

◎

ჩვენი ექსპედიციის წევრები ერთი ჩვეულებრივი, არაფრით განსაკუთრებული ქართული სახლის დაჩრდილულ ეზოში ვებაასებით ტულითად მასპინძელს, გადამღები კამერა მუშაობს. იღებს ყველაფერს, იწერს ყოველ ნათქვამს.

ჩვენ უკვე მიჩვეულები ვართ ამდენი ახლის მოსმენის და გაოცების თავიც აღარ გვაქვს. შინაგანი სიხარულით აფორიაქებულნი ვუსმენთ კაცს, რომელმაც ნახევარი ცხოვრება გადასახლებაში გაატარა და სულ ახლახანს, რამდენიმე წლის წინ დაბრუნდა საშობლოში.

ჩვენს უახლეს ისტორიაში გადასახლება უცხო სიტყვა რომ არ გახლავთ, ამას ბევრი ფიცი არ სჭირდება. იმ დროს ბევრს ასახლებდნენ, ვის ბრალიანს, ვის უბრალოს. არც რეპრესია ყოფილა უცხო ტერმინი იმ ჟამს, არც ხალხის მტერი... ალბათ, გაინტერესებთ რა დროზე მოგახსენებთ!

ჩაგეკითხებთ: რას კიბავს აქეთ-იქითო და პირველი, რაც ენაზე მოგადგებათ, 1924 წელი იქნება... მე კი გეტყვით: ვერ გამოიცანთ! შემდეგი თარიღი, რომელიც მოაგონდება დღევანდელ ქართველ მკითხველს, 1937 წელია. აქაც უნდა გავიცინოთ ისევ.

აღარ გაგაწყალებთ — ეს კაცი 1942 წლის რეპრესირებულია.

თქვენ კვლავ იკითხეთ: ალბათ „დეზერტირი“ იქნება, ამბობთ და გინდათ ყურადღება სხვა პუბლიკაციაზე გადაიტანოთ. ნება თქვენია. მხოლოდ ერთის წუთით: ეს კაცი „დეზერტირი“ არ ყოფილა, არც შემთხვევით დაუპატიმრებიათ. იგი იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. მეტსაც გეტყვით: ის ერთი არ ყოფილა, არც რამდენიმე იყვნენ. მათი რაოდენობა ათასებს და ადგილად შესაძლოა ათასათასებს ითვლოდა საქართველოში.

ეს არ იყო მხოლოდ უკმაყოფილო ხალხი, რომლებიც ტყეში გასულნი თავს არიდებდნენ საგალდებულო სამხედრო სამსახურს. ეს იყო ეროვნული ორგანიზაცია, ეროვნული ორგანიზაციის ფორმა, ეროვნული ორგანიზაციის ბაზა, ეროვნული ორგანიზაციის ბრძოლა. ეროვნული ორგანიზაციის ბოლო ბრძოლა. ეროვნული ორგანიზაციის ბოლო ბრძოლა ... ეროვნული ორგანიზაციის ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

საზღვარგარეთ

მოსკოვიდან მიღებული ცნობებით, პრეზიდენტი გორბაჩოვი ღამის ორ საათზე ყირიმიდან მოსკოვში დაბრუნდა. იერუსალიმის ბილტიკებზე პრეზიდენტმა „კომიტეტის“ წევრების მოქმედება სამხედრო გადატრიალებად შეაფასა. მან დიდი მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ელცინს და რუსეთის დემოკრატიულ ძალებს მხარდაჭერისათვის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პატიმრობის სამი დღის განმავლობაში პუტჩისტები ცდილობდნენ მის დაყოლიებას, რათა მათ შეერთებოდა. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მისი განთავისუფლება „პერესტროიკის“ დამსახურება არისო.

რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრ რუწოკოის ცნობით, „კომიტეტის“ ყველა წევრი დაპატიმრებულია. ისინი თავის საშველად რატომღაც დაბა ფოროსში გორბაჩოვს აგარაკს მიადგნენ. პრეზიდენტი მათ ესაუბრა. „სუკის“ ხელმძღვანელი კრუჩკოვი გორბაჩოვის თვითმფრინავით დაბრუნეს მოსკოვში. დაპატიმრებულია ბორის პუგო და დიმიტრი იაზოვი. იანაევი, ბაკლანოვი და ტიზიუკოვი ჯერჯერობით ყირიმში იმყოფებიან. გლეხების ლიდერის სტაროდუბცევის შესახებ არაფერს იუწყებიან.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ბესმერტნიხმა, რომელიც პუტჩისტების თარეშის დროს არ სჩანდა, თავის უწყებაში პრეს-კონფერენცია მოაწყო. მან დაგმო შეთქმულების მონაწილენი და დემოკრატიული იდეალების ერთგულება გამოაცხადა. კორესპონდენტის კითხვაზე, თუ ვინ აკონტროლებდა პუტჩის დროს საბჭოთა ბირთვულ იარაღს, ბესმერტნიხმა მიუგო, რომ საიმედო ხალხია, მაგრამ არ ახსნა, თუ ვინ იყო ეს ხალხი, „ხუნტის“ ერთგულები თუ მოწინააღმდეგენი.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტელეფონით მიულოცა საბჭოთა პრეზიდენტს გორბაჩოვს განსაცდელისაგან თავის დაღწევა და წარმატება უსურვა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან საუბრის დროს კი მან ხაზი გაუსვა, რომ მისი ენერგიული მოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდა სამხედრო ამბოხების ჩახშობა, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოს დემოკრატიას ემუქრებოდა, ამან კი პრეზიდენტ ელცინის საერთაშორისო ავტორიტეტი განუზომლად აამაღლაო, დასძინა პრეზიდენტმა.

ბონში კიევში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა უკრაინის დამოუკიდებლობა მოითხოვეს. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ გორბაჩოვის გადაყენებამ მათ თვალწინაც დაანახა, თუ ვისთან აქვთ საქმე და მხოლოდ დამოუკიდებელ უკრაინას ძალუძს საკუთარი დემოკრატიის დაცვა. გამომსვლელებმა კატეგორიულად მოითხოვეს იმ ხელმძღვანელებისა და ორგანიზაციების დასჯა, რომლებიც პუტჩისტებს მიემხრნენ. ძოლალატეები სახელმწიფო ღალატის შუხლით უნდა დაისაჯონო, აღნიშნავდნენ ისინი.

ცნობილი რუსი ეკონომისტი და ფილოსოფოსი გაირინი, რომელიც ამჟამად პარიზში ცხოვრობს, საფრანგეთის საერთაშორისო რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „ის, რაც საბჭოთა კავშირში მოხდა, შესაძლოა კარგად გათამაშებული ფარსი იყოსო. გორბაჩოვი მიხვდა, რომ მისი პოპულარობა ხალხში ძალიან დაეცა და მის ასაწევად პუტჩის სპექტაკლი დადგაო. მან მოსახლეობას აჩვენა, რომ მე თუ არ გინდივართ, მაშინ სამხედროებთან გექნებათ საქმეო. გარინი მეორე ვარიანტსაც უშვებს: პუტჩისტები იმიტომ ამყარებდნენ „კომიტეტის“ მრისხანე სახელზე, გენერლის ვარსკვლავებზე და დიქტორების ლეგიტანის მისმაგავსებულ ხმებზე. მათი სცენარით ხალხი ამის შემდეგ უნდა დაშინებულიყო, ხოლო გორბაჩოვი, რომელიც რეალური ფაქტის წინაშე დადგებოდა, მათ მოთხოვნებს დაყაბულდებოდა. როგორც ჩანს, ბერიას დაპატიმრების სცენარის გამეორება პუტჩისტებმა ვერ შეძლესო, დასკვნის მეცნიერი.

ბერლინის კანცლერი ჰელმუტ კოლი ტელეფონით პრეზიდენტ ელცინს ესაუბრა და დიდი წარმატება მეულოცა. კოლის თქმით, „დემოკრატიის გამარჯვება ელცინის პირადი ვაჟკაცობისა და სიმტკიცის გარეშე ძნელი იქნებოდაო“. გერმანიის კანცლერმა ელცინს გერმანიის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა და ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში მიიწვია. მიმომხილველები თვლიან, რომ რუსეთის ფედერაციის ლიდერის პოზიციები მაღი ცენტრალურ სტრუქტურებს დაფარავსო.

საქდესი უწყება, რომ საბჭოთა არმიამ 21 აგვისტოს დატოვა კუნესაის ტელეცენტრი, რომელიც ორი დღის წინ დაიკავა. სპეციალისტების აზრით, ტელეცენტრის ძირითადი ტექნიკა არ დაუზიანებიათ. სამხედროებმა დატოვეს აგრეთვე პანეველისა, შიაულიაის, მარიამპოლის, ალიტუსისა და სხვა ქალაქების ტელერეტრანსლატორები. განთავისუფლებულია ვილნიუსის საერთაშორისო სატელეფონო სადგური.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ვრცელი განცხადება მოამზადა. მასში ისინი საბჭოთა კომუნისტებს, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ქართველ კომუნისტებსაც წესრიგის დაცვისაკენ და მშვიდობიანი აღმშენებლობისა მუშაობისაკენ მოუწოდებენ. პუტჩისტებთან კავშირზე კი, რაღა თქმა უნდა, კრიტიკა არ დაუძრავთ, უფრო მეტიც, სამდივნოს მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე სკკ ცკ-ის მდივანმა კალაშნიკოვმა ჟურნალისტებს სთხოვა „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს“ „ხუნტას“ ნუღარ უწოდებთო. „კომიტეტის“ წევრებმა ხომ მხოლოდ „უხეში შეცდომა“ დაუშვესო, „ხუნტის“ ტიტული კი კომპარტიის კომპრომეტირებას იწვევსო. დაახლოებით იგივე აზრი გაატარა ცკ-ის მეორე მდივანმა ძასოხოვმა, ეუშმარიტად, არ გათეთრდების ყორანი.

გადატრიალების შემდეგ

საქმეო. გარინი მეორე ვარიანტსაც უშვებს: პუტჩისტები იმიტომ ამყარებდნენ „კომიტეტის“ მრისხანე სახელზე, გენერლის ვარსკვლავებზე და დიქტორების ლეგიტანის მისმაგავსებულ ხმებზე. მათი სცენარით ხალხი ამის შემდეგ უნდა დაშინებულიყო, ხოლო გორბაჩოვი, რომელიც რეალური ფაქტის წინაშე დადგებოდა, მათ მოთხოვნებს დაყაბულდებოდა. როგორც ჩანს, ბერიას დაპატიმრების სცენარის გამეორება პუტჩისტებმა ვერ შეძლესო, დასკვნის მეცნიერი.

ბერლინის კანცლერი ჰელმუტ კოლი ტელეფონით პრეზიდენტ ელცინს ესაუბრა და დიდი წარმატება მეულოცა. კოლის თქმით, „დემოკრატიის გამარჯვება ელცინის პირადი ვაჟკაცობისა და სიმტკიცის გარეშე ძნელი იქნებოდაო“. გერმანიის კანცლერმა ელცინს გერმანიის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა და ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში მიიწვია. მიმომხილველები თვლიან, რომ რუსეთის ფედერაციის ლიდერის პოზიციები მაღი ცენტრალურ სტრუქტურებს დაფარავსო.

საქდესი უწყება, რომ საბჭოთა არმიამ 21 აგვისტოს დატოვა კუნესაის ტელეცენტრი, რომელიც ორი დღის წინ დაიკავა. სპეციალისტების აზრით, ტელეცენტრის ძირითადი ტექნიკა არ დაუზიანებიათ. სამხედროებმა დატოვეს აგრეთვე პანეველისა, შიაულიაის, მარიამპოლის, ალიტუსისა და სხვა ქალაქების ტელერეტრანსლატორები. განთავისუფლებულია ვილნიუსის საერთაშორისო სატელეფონო სადგური.

საბჭოთა კავშირის კომუნისტებმა ძალუფლებიდან გადააყენეს პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი მაგრამ ამბობენ, რომ ახალი ხელმძღვანელებისა და ორგანიზაციების დასჯა, რომლებიც პუტჩისტებს მიემხრნენ. ძოლალატეები სახელმწიფო ღალატის შუხლით უნდა დაისაჯონო, აღნიშნავდნენ ისინი.

ცნობილი რუსი ეკონომისტი და ფილოსოფოსი გაირინი, რომელიც ამჟამად პარიზში ცხოვრობს, საფრანგეთის საერთაშორისო რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „ის, რაც საბჭოთა კავშირში მოხდა, შესაძლოა კარგად გათამაშებული ფარსი იყოსო. გორბაჩოვი მიხვდა, რომ მისი პოპულარობა ხალხში ძალიან დაეცა და მის ასაწევად პუტჩის სპექტაკლი დადგაო. მან მოსახლეობას აჩვენა, რომ მე თუ არ გინდივართ, მაშინ სამხედროებთან გექნებათ საქმეო. გარინი მეორე ვარიანტსაც უშვებს: პუტჩისტები იმიტომ ამყარებდნენ „კომიტეტის“ მრისხანე სახელზე, გენერლის ვარსკვლავებზე და დიქტორების ლეგიტანის მისმაგავსებულ ხმებზე. მათი სცენარით ხალხი ამის შემდეგ უნდა დაშინებულიყო, ხოლო გორბაჩოვი, რომელიც რეალური ფაქტის წინაშე დადგებოდა, მათ მოთხოვნებს დაყაბულდებოდა. როგორც ჩანს, ბერიას დაპატიმრების სცენარის გამეორება პუტჩისტებმა ვერ შეძლესო, დასკვნის მეცნიერი.

ბერლინის კანცლერი ჰელმუტ კოლი ტელეფონით პრეზიდენტ ელცინს ესაუბრა და დიდი წარმატება მეულოცა. კოლის თქმით, „დემოკრატიის გამარჯვება ელცინის პირადი ვაჟკაცობისა და სიმტკიცის გარეშე ძნელი იქნებოდაო“. გერმანიის კანცლერმა ელცინს გერმანიის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა და ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში მიიწვია. მიმომხილველები თვლიან, რომ რუსეთის ფედერაციის ლიდერის პოზიციები მაღი ცენტრალურ სტრუქტურებს დაფარავსო.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-სამრეწველო კავშირის მმართველობის ბიურომ „კომიტეტის“ წევრი ამხანაგი ტიზიკოვი გაათავისუფლა კავშირის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან და სურვილი გამოთქვა, რომ იგი სახელმწიფო საწარმოებისა და სამრეწველო გაერთიანებების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტიდანაც გაათავისუფლონ.

გუშინ მოსკოვში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის დასრულების შემდეგ „თეთრი სახლის“ წინ მოეწყო ე. წ. „გამარჯვების მიტინგი“. შეიკრიბა ათი ათასობით ადამიანი. სიტყვებით გამოვიდნენ ელცინი, პოპოვი, ჰაზბულატოვი, შევარდნაძე, „თეთრი სახლის“ დაცვის ხელმძღვანელი გენერალ-პოლკოვნიკი კობეცი. გამომსვლელებმა თავდაცვის სამინისტროსა და სხვა კომპრომეტირებული ორგანიზაციების დეპარტიზაცია, კომპარტიის გაუქმება, მათთვის „პრავდასა“ და სხვა გაზეთების ჩამორთმევა, უღირსი გენერლების გასამართლება მოითხოვეს. გადაწყდა, რომ პერსონალურად შეისწავლონ ამხანაგ ლუკიანოვის საკითხი. საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა დასაფლავების კრემლის კედელში ფიქრობენ.

ერაყი, ლიბია და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია მიესალმნენ გორბაჩოვის გადაყენების და განაცხადეს, რომ გორბაჩოვმა არაბებისა და პალესტინელთა ინტერესებს უღალატა.

სსრ კავშირში გადატრიალების ცდას გავლენა არ მოუხდენია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეიარაღებული ძალების შემცირების გეგმებზე. ეს განაცხადა ღღეს ბი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ნატოს გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვერნერმა, რომელმაც ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუმცა ეს შემცირება განხორციელდება, ალიანსის ქვეყნები შეინარჩუნებენ საკმაო პოტენციალს, რომელიც საჭიროა „ყველანაირებურად ძლიერ საბჭოთა ძალებთან. ბალანსის შენარჩუნებისათვის“.

პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა გამოაცხადა, რომ ბრიტანეთი განსაზღვრავს სსრ კავშირისადმი დახმარებას, რომელიც გაყინული იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდასთან დაკავშირებით. ბი-ბი-სი კორპორაციისათვის მიცემულ რადიოინტერვიუში ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა აგრეთვე თქვა, რომ დასავლეთი გრიგოლ ივანეს ძე რეგენეკო. ამ ძოგალეობის შესრულებისაგან განთავისუფლებულია ბოლდინი, რომელმაც პრეზიდენტის დატყვევებაში ძიღო მონაწილეობა.

ქვეყანე მოგვყავს მოსკოვში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მიერ გადმოცემული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუელიარის განცხადების ტექსტი, რომელიც მან 21 აგვისტოს გააკეთა:

ამ ბოლო საათებში ყველა ძალზე ყურადღებით ვადევნებდი თვალს საბჭოთა კავშირში მიმდინარე ამბებს. თუმცა ვწუხვარ ადამიანთა დაღუპვის გამო, მაგრამ გულზე მომეშვა და მახარებს უკანასკნელი ცნობები, რომლებიც ალბათ მოწმობს იმას, რომ კრიზისი ძირითადად ვითარდება კონსტიტუციური საშუალებებით მოწესრიგების გზით, რის დიდი იმედი მქონდა და რასაც საჯაროდ ვაცხადებდი ამ ბოლო ორ დღეს. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმთამა მამაცობამ, ვინც იცავდა დემოკრატიულ ღირებულებებს.

რიგიდან იუწყებიან, რომ ქალაქში სამშვიდეა. მხოლოდ პარლამენტის შენობაა ბარიკადებშემორტყმული. ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე მიიღეს კანონი „ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფოს სტატუსის“ შესახებ. კანონის მიხედვით ლატვია არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის სტატუსი განსაზღვრულია 1922 წლის 15 თებერვლის კონსტიტუციით. როგორც ცნობილია, 1990 წლის 4 მაისს ლატვიის უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა. ახლა გარდამავალი პერიოდი დასრულებულად გამოაცხადეს.

ვილნიუსი-პრესინს საგანგებო იუწყება, რომ გუშინ კინოთეატრში სტეფან დიდის მოედანზე ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მიტინგში ის მოქალაქეებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც პარლამენტის მოწოდებით ქალაქის სხვადასხვა ობიექტებს იცავდნენ. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დამსწრე საზოგადოებას მოუწოდეს ლინჩის წესით არ გაესამართლებინათ ის ადამიანები, რომლებიც „ხუნტას“ მიემხრნენ. მათ სასამართლოში გაესამართლებთო, დასძინა რესპუბლიკის პრემიერმა მურავსკამ.

სსრკ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სუხომლინოვმა სსრკ ჟურნალისტთა კავშირის სახელით მადლობა გადაუხადა ქვეყნის ყველა პატიოსან ჟურნალისტს, რომელმაც ამ მძიმე დღეებში ღირსეულად შეასრულეს თავიანთი პროფესიული მოვალეობა და ხელი შეუწყვეს პუტჩის დამარცხებას.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე

რუსეთის სფსრ პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სახელმწიფო გადატრიალების მონაწილე ყოფილი საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის წევრთა წინააღმდეგ, განაცხადა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე 22 აგვისტოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვ. გ. სტეპანოვმა. მან, კერძოდ, თქვა:

— გუშინ, მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოების მისამართით გამოთქმული კრიტიკისა მისი უმოქმედობის გამო, მე ვერ ვუპასუხე ამას მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით. სისხლის სამართლის საქმე რუსეთის პროკურატურამ გუშინ აღძრა, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობთ. მას შემდეგ, რაც ფოროსიდან ჩამოვიდა თვითმფრინავი, აეროპორტში დაკავეს კრიუჩკოვი, დაპატიმრეს და მიიყვანეს იმ ადგილას, სადაც პყავთ პატიმრობაში. სანქცია გასცა რუსეთის გენერალურმა პროკურორმა. მეორე თვითმფრინავით ჩამოვიდნენ იაზოვი და ტიზიაკოვი, ისინიც აგრეთვე დაპატიმრეს და მიიყვანეს ადგილებში, სადაც პყავთ პატიმრობაში. ახლა მიმდინარეობს მათი დაკითხვა.

ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის იანაიევს კაბინეტში დამთავრდა ჩხრეკა, იგი მიიყვანეს რუსეთის პროკურატურაში, სადაც მიმდინარეობს დაკითხვა და გაცემულია მისი დაპატიმრების სანქცია. ამას გარდა, ახლა მიმდინარეობს ამ კომიტეტის სხვა წევრის — ბაკლანოვის დაკითხვა. სამწუხაროდ, ვერ დამთავრდა პუგოს დაპატიმრების ოპერაცია. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ბინაში შესვლის ცდის დროს მან თავი მოიკლა. მძიმე პრილობა მიაყენა საკუთარ თავს მისმა ცოლმა, რომელიც მიყვანილია საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში.

პაელოვი საავადმყოფოშია, სტაროდუბცევი — მოსკოვის ფარგლებს გარეთ. განხორციელდება ღონისძიებანი მათი გამოძახებისა და დაკითხვისათვის.

რუსეთის სფსრ პროკურატურა განაგრძობს გამოძიებას. შედეგები გამოქვეყნდება.

ი. ნოვიკოვი,
ნ. სტეპანჩენკო,
რუხერთ-საკდესის კორ.



პრეზიდენტმა ბუშმა გორბაჩოვს ტყვეობიდან განთავისუფლება მეულოცა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

რამდენიმე სტრიქონით

ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებმა მიაღწიეს იმას, რომ სამშობლოში დაებრუნონ გასულ თვეში ტაივანის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ დაკავებული თვრამეტი ჩინელი მებადურიდან თერთმეტი. ტაივანის ხელისუფლები დათანხმდნენ აგრეთვე დაებრუნონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა კუთვნილი ორივე სეინერი.

როგორც გაზეთი „ჯუნგო ჯიბაო“ იუწყება, ექვსი ჩინელი მებადური ჯერ კიდევ დაპატიმრებული ჰყავთ ქალაქ ტაიჯუნის საპყრობილეში, ერთი კი ახალგაზრდული ცენტრის ტერიტორიაზე იმყოფება. ადგილობრივი ხელისუფლები ამირეკენ სასამართლო პროცესის გამართვას, ბრალად სდებენ მათ ტაივანის გემზე ავადასმას. ჩინეთი თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ინცინდენტი ღია ზღვაში მოხდა ტაივანელთა დაუდგრობის გამო, რომლებმაც მატერიკიდან დააზიანეს მებადურების ტრალი და პროვოკაციულად გამოიწვიეს კონფლიქტში სამხედრო ხომალდების ჩარევა.

ასერიოზული უწესრიგობა მოხდა ამერიკის ალაბამის შტატში მდებარე ტალადეგის საპყრობილეში, სადაც ჰყავთ რამდენიმე ასეული კუბელი ლტოლვილი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

როგორც საპყრობილის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, პატიმრებმა ხელთ იგდეს რამდენიმე შენობა. მძეგლად აიყვანეს ათამდე ზედამხედველი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის თანამშრომლები, მათ შორის სამი ქალი. ერთ-ერთი მძეგალი, რომელიც დაიჭრა, გაათავისუფლეს. როგორც ადმინისტრაცია ამტკიცებს, ჯერჯერობით ცნობილი არ არის მეამბოხეთა მოთხოვნები.

მიმდინარე წელს კანადის პრერიებში რეკორდული მოსავალი უნდა მოიწიონ. ასეთია ვინიპეგში მდებარე მარცვლეულის მწარმოებელთა გაერთიანებული ასოციაციის პროგნოზი. მისი გაანგარიშებით წელს უნდა აიღოს 52,7 მილიონი ტონა, რაც თითქმის 1,5 მილიონი ტონით აღემატება 1986 წელს მიღწეულ უმაღლეს მაჩვენებლებს. ასოციაციამ ინტერვიუ ... [illegible]

„ამერიკის ხმის“ პირველი რეპორტაჟი

კონსერვატორმა კომუნისტებმა ძალაუფლებიდან გადააყენეს პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი მაგრამ ამბობენ, რომ ახალი ხელმძღვანელობა დროებითია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნებულ განცხადებაში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გენადი იანაევმა თქვა, რომ საგანგებო ზომები მიღებულია საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისა და მათი საკუთრების დასაცავად. განცხადებაში ნათქვამია, რომ სხვა ზომებს შორის გათვალისწინებულია მკაცრი ცენზურა ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზებისა და რაც შეიძლება მალე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ნორმალიზებისათვის. უფრო ადრე, საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელსაც მხარს უჭერს სამხედრო და სახელმწიფო უშიშროების ძალები, გამოაცხადა 6-თვიანი საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის ცალკეულ ადგილებში. მოსკოვის ქუჩებში ტანკები პატრულირებენ, ჯარმა გადაკეტა კრემლი, ლენინგრადში კი ხელთ იგდო მნიშვნელოვანი პუნქტები.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დაგმო გადატრიალება საბჭოთა კავშირში და მოუწოდა გორბაჩოვის ძალაუფლების აღდგენისაკენ. წერილობით განცხადებაში ბატონმა ბუშმა თქვა, რომ საგანგებო მდგომარეობა და სამხედრო ძალების გამოყენება წამოჭრის სერიოზულ შეკითხვებს საბჭოთა კავშირის მომავალზე. ბუშმა დაახასიათა ეს ნაბიჯები, როგორც არაკანონიერი და მცდარი, გამოთქვა მხარდაჭერა ... [illegible]

... [illegible]

... [illegible]

„ამერიკის ხმის“ მიტინგი“ თეთრი სახლის წინ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

... [illegible]

... [illegible]

... [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲤᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

ᲬᲚᲘᲡ საქართველოში შვიდ თვეში 250 მკვლელობა მოხდა. ჩვენს ეროვნულ, საკუთრების, ეკონომიკურ, სოციალურ, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური საფუძვლები. ამიტომ ამ დანაშაულთან ბრძოლაში მარტო სამართალდამცავი ორგანოები ვერაფერს გახდებიან. მოლიციამ შეძლება გაარკვიოს დანაშაულს მოტივები და განახორციელოს სასთანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები; ეკონომიკური, სოციალური, მორალური-ზნეობრივი. პრობლემებს კი ხელისუფლებამ, მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა მიხედოს.

(დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში თავის დროზე გარკვეულ როლს ასრულებდნენ ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორიც იყო მიკრორაიონის საბჭო, სახლის კომიტეტები, სახალხო რაზმები და ა. შ. მათი მუშაობა, რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ იყო პოზიტიური მომენტებიც. ალბათ, აუცილებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სტრუქტურების ცვლის კვალობაზე მოხდეს ზემოთ დასახელებული · საზოგადოებრივი ინსტიტუტების მოდერნიზაცია ან ახლის შექმნა.

საოჯახო კონფლიქტების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობები მთელი ჩვენი საზოგადოების სატკივარია, მის განკურნებაში საზოგადოებრიობამ უნდა თქვას მთავარი სიტყვა.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრიობასთან და პრესასთან მუშაობის განყოფილების უფროსი.

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საქართველოში შვიდ თვეში 250 მკვლელობა მოხდა. ჩვენს ეროვნულ, სატკივრის ვერც საზოგადოებრიობის საგანგაშო ზარების რეკვამ უშველა, ვერც უშინდესესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II საგანგებო ბრძანებამ. ამ მძიმე, ტრაგიკული დანაშაულის მრავი განხუხრულად მაღლა მიიწევს. 1985 წელს რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო 142 განზრახ მკვლელობა, 1988 წელს — 155, 1989 წელს— 207. 1990 წელს მკვლელობების რიცხვმა 270-ს მიაღწია. წელს კი უკვე შვიდ თვეში 250 კაცია მოკლული.

მკვლელობათა უმეტესობის მიზეზი იმდენად უბრალო, ზოგჯერ абსურდულიც კია, რომ წარმოსადგენადაც ძნელია, ამისათვის ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფო, დაადო ყველაზე დიდი ამქვეყნიური ცოდვა. ყაჩაღისა და რეციდივისტის ხელით 20-30 კაცი თუა მოკლული. დანარჩენი — უბრალო წყენიკლავებისა და შელაპარაკების მსხვერპლი გახდა. უფრო მეტიც — 27 ადამიანი საკუთარი ოჯახის წევრმა გამოასალმა სიცოცხლეს. რაც ორმაგი ტრაგედიაა. ტყიბულში, წყალტუბოში, მარნეულში, ლაგოდეხში შვილმა მოკლა დედა, თბილისში, ქარელში — შვილმა მოკლა მამა, ივანეს ქარელის, კასპის, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონებში მამებმა გამოასალმეს სიცოცხლეს თავიანთი შვილები, რუსთავში ძმამ მოკლა საკუთარი და, ჯორის რაიონში ძმამ — ძმა. იყო „სიდედრის, სიმამრის, სიძის, რძლის და მეუღლის მკვლელობის რამდენიმე შემთხვევა.

რა გახდა ამ სულისშემძვრელი მკვლელობების მიზეზი? შეიძლებოდა თუ არა მათი თავიდან აცილება? ამ კითხვებს ბუნებრივია სვამს საზოგადოებრიობა და პასუხის გაცემას იმთავან შოგთხოვს, ვისაც შეეძლო და მოვალეც იყო არ დაეშვა ასეთი ტრაგედია. ამ საკითხზე ამას წინით საგანგებოდ იმსჯელა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რამდენიმე მკვლელობა შეიძლებოდა თავიდან აცილებულიყო საჭირო სიფხიზლე და სამსახურებრივი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინთ მილიციის მუშაკებს, კერძოდ, უბნის ინსპექტორებს.

22 ივლისს გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში დატრიალდა საშინელი ტრაგედია, ვლადიმერ ასლამაზიშვილმა სანადირო თოფით დახოცა საკუთარი შვილი ასლამაზ ასლამაზიშვილი და რძალი შორენა სამხარაძე. 24 აპრილს საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში ადალათ ხალაპოვმა ასევე თოფით მოკლა ბიძაშვილი ამდულა ხალაპოვი.

ორივე მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოხდა. წესით მილიციის ორგანო, კერძოდ, უბნის ინსპექტორი მოვალეა ოჯახური კონფლიქტის წარმომობისთანავე ფიქსირება გაუკეთოს ფაქტს. იზრუნოს ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად როგორც პირადი რჩევა-დარიგებით, ისე სათანადო ადმისრულებელი და სასამართლო ორგანოების ჩარევით და, რაც მთავარია, ფიზიზლად ადევნოს თვალი, რომ ოჯახის წევრთა დაპირისპირება ტრაგედიად არ გადაიზარდოს.

საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე რესპუბლიკაში მომხდარი მკვლელობების უმეტესობის მიზეზი სწორედ ზემოთ დასახელებული მოთხოვნის დაუცველობა გახდა.

დადუბრუნდეთ ისევ თელეთსა და საგარეჯოში მომხდარ მკვლელობას. ვლადიმერ ასლამაზიშვილის ოჯახის წევრები და მეზობლები ერთხმად ამტკიცებენ: ოჯახში არავითარი კონფლიქტი არ ყოფილაო. მილიციისთვისაც არავის მიუმართავს ოჯახური უთანხმოების თაობაზე.

თელეთის მილიციის ქვეგანყოფილების უფროს უბნის ინსპექტორს გ. ქავთარაძეს და სისხლის სამართლის ოპერრწმუნებულს შ. თუშიშვილს არ ჰქონდა ინფორმაცია მამა-შვილს შორის ურთიერთობის დაძაბვაზე და ამიტომ მათ პრაქტიკულად თითქოს არც შეეძლოთ მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვაა.

შვილი და რძალი მამამ დახოცა არარეგისტრირებული სანადირო თოფით. უბნის ინსპექტორს და ოპერრწმუნებულს ინფორმაცია რომ მოეპოვებინათ, სათანადო ზომებიც განეხორციელებინათ უნებართვო ცეცხლსასროლი იარაღის ამოსაღებად (რაც მათი ერთ-ერთი მთავარი სამსახურებრივი მოვალეობაა), ტრაგედია შეიძლება თავიდან ყოფილიყო აშორებული.

არც ხალაპოვების ოჯახის წევრებსა და მეზობლებს მიუმართავთ განცხადებით საგარეჯოს მილიციის რაიგანყოფილებისათვის, თუმცა სოფელ ლამბალოს მცხოვრებლებმა და ყოფილმა უბნის ინსპექტორმა ი. მირზოევმაც კარგად იცოდნენ, რომ ცუდად დამთავრდებოდა ციხიდან გამოსული ადელა ხალაპოვის დაფინება. პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მას გარდაეცვალა მეზუთე ცოლი და გადაწყვიტა მეექვსე ცოლად შეერთო თავისი ბიძაშვილი სუნდუზ ხალაპოვა, რასაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს როგორც ქალიშვილმა, ისე ნათესავებმა. ხალაპოვი მაინც თავისაზე იდგა, ემუქრებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა ახლობლებს. 24 აპრილს მორიგი შეხლა-შემოხლის დროს შეურაცხყოფა ვეღარ მოითმინა მისმა ბიძაშვილმა, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ირმოშიკის მეურნეობის მწყემსმა ადალათ ხალაპოვმა, სახლიდან გამოიტანა სანადირო თოფი და დაახალა ამდულას.

აქაც სახეზეა უბნის ინსპექტორებისა და მთლიანად საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უგულისყურობის ლოგიკური შედეგი. მრავალგზის ნასამართლევ ა. ხალაპოვზე არ იყო დაწესებული ადმინისტრაციული ზედამხედველობა. არც მისი ბიძაშვილის უნებართვო თოფის ჩამორთმევაზე შეუწუხებიათ თავი.

7 მაისს კასპის რაიონის სოფელ თელათგორში ვაჟა ქიტაშვილმა დანით მოკლა თავისი ყოფილი მეუღლე დარეჯან გოგილაშვილი. როგორც სამსახურებრივი მოკვლევით დადგინდა, ქიტუაშვილი კარგახნის მანძილზე მოკვლით ემუქრებოდა თავის ყოფილ მეუღლეს. ამ მუქარის შესახებ იცოდნენ უბნის ინსპექტორებმა დ. მაზმიშვილმა, გ. მუხიგულაშვილმა და გ. ბადაშვილმა, მაგრამ საჭირო ზომები არ მიიღეს მკვლელობის თავიდან ასაცილებლად (დასჯერდნენ მხოლოდ ხელწერილის ჩამორთმევას).

სამინისტროს დასაჯა ის უბნის ინსპექტორები და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების ხელმძღვანელები, რომელთა სამსახურებრივმა გულგრილობამ და უპასუხისმგებლობამ განაპირობა ოჯახური კონფლიქტის ტრაგიკული ფინალი. პროფილაქტიკური სამსახურის სამმართველომ კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავა ამ მიმართულებით უბნის ინსპექტორთა საქმიანობის გასაქტიურებლად. სამინისტროს ხელმძღვანელობამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სისხლის სამართლის სამძებროს და სამინისტროს სხვა სამსახურებს, მილიციის რაიგანყოფილებებს დაავალა გააჯტიურონ მუშაობა განზრახ მკვლელობათა თავიდან ასაცილებლად.

აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ: მარტო მილიციის მუშაობის გააქტიურებით შეუძლებელია ამ საშიში სოციალური დანაშაულის აღკვეთა და აი რატომ:

ყველა 27 მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოხდა. მაგრამ როგორ პირადოქმული ადაც არ უნდა მოგვიჩვენოს, ამ ოჯახების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, მეზობლები და ახლობლები ერთხმად ამტკიცებენ: მოკლულსა და მკვლელს შორის უსიამოვნება და დაპირისპირება არ ყოფილაო. დავიჯეროთ? ნამდვილად ასეა?

ძალიან ძნელი დასაჯერებელია. უფრო სავარაუდოა ორი გარემოება. ერთი ის, რომ მკვლელს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს არ უნდათ მას „კიდევ უფრო დაუმძიმონ დანაშაული“. ხანგრძლივ კონფლიქტს მოყოლილ მკვლელობას ხომ განზრახ მკვლელობის ელფერი ეძლევა, წუთიერი აფექტის დროს ჩადენილ მკვლელობაზე კი ქართველები ვამბობთ, „კაცი შემოაკვდაო“.

მეორე, უფრო სარწმუნო და დამაფიქრებელ გარემოებად მიგვაჩნია საზოგადოებრივი გულგრილობა. ვინ მოთვლის ჩვენს თვალწინ ან მეზობლად რამდენი ოჯახური დრამა ტრიალებს, ჩვენ კი ყურს ვიყრუებთ და ენას კბილს ვაჭერთ. ვფიქრობთ, რა ჩვენი საქმეა სხვის ოჯახში ცხვირის ჩაყოფაო. ან უფრო უარესი — სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო. და ასე, ვითომდაც სულგრძელობის წყალობით მწიფდება მკვლელობა. მილიცია ამის შესახებ ვერაფერს იგებს და მერე, როცა მოსახდენი მოხდება, საკვეყნოდ ვაცხადებთ: როგორ გეკადრებოდ, ამ ოჯახში ყველანი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენო, რატომ ვიტყუებთ თავს? ამგვარ საზოგადოებრივ გულგრილობას ხომ შეიძლება ემსგავსებოდეს თითოეული ჩვენგანის!

ყოველ არასწორ ნაბიჯზე, ვადაცდომაზე, მით უმეტეს დანაშაულზე თვითონ პიროვნება აგებს პასუხს საკუთარი სინდისისა და კანონის წინაშე. პიროვნულად არავის აქვს უფლება სასაცილო განაჩენი გამოუტანოს მეორე ადამიანს, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ჩვენ შეიძლება განვსაჯოთ შვილის, ძმის, მეუღლის ქმედება, მაგრამ სიკვდილით დასჯის უფლებას არც ღმერთი გვაძლევს და არც კანონი.

მკვლელობათა საგრძნობი ნაწილი ოჯახის ღირსების დაცვის საბაბით ხდება და ძალიან დასანანია, რომ ამ დანაშაულებრივ აქტს, ჩვენი საზოგადოებრიობის ნაწილი მოწონებითაც კი ხვდება.

30 ივნისს კასპის რაიონის სოფელ აღაიანის (ახლანდელი წმინდა ნინო) მცხოვრებმა ზაურ ფიქრიშვილმა დანით მოკლა საკუთარი ქალიშვილი ნელი დვალიშვილი-ფიქრიშვილი. მამამ შვილი „სიკვდილით დასაჯა“ იმის გამო, რომ იგი ცოლად გაჰყვა, თავის მაზლს — ქმრის ძმას. საზოგადოებრივი მორალისა და მით უმეტეს ქართული ტრადიციის თვალსაზრისით ნელიმ, რა თქმა უნდა, მძიმე ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ მას ეს ცოდვა ღმერთის წინაშე უნდა მოენანიებინა და არავის, თვით მშობელსაც კი არა ჰქონდა მისი მოკვლის უფლება.

ჩვენში ამბობენ, ნორმალური ადამიანი არ მოკლავს კაცსო. მით უმეტეს სასაცილოდ ვერ გაიმეტებს თავისი ოჯახის წევრს. და მართლაც, ამ დანაშაულს თითქმის შეხუთეული სულიერად დავადებულებს ჰოდის. ამ ადამიანებს სასჯელად განუკურნებელი სენიც ეყოფათ, ამიტომ შეგნებულად არ ვასაჯებთ მათ გვარებს. თვითონ პრობლემას კი გვერდს ვერ ავუვლით. მარნეულში, წყალტუბოსა და ტყიბულში ფსიქიურად დაავადებულმა შვილმა მოკლა დედა, რუსთავში ძმამ — და.

გამოძიებისას გაირკვა, რომ ამ ოჯახებიდან კონფლიქტის თაობაზე მილიციაში არავითარი განცხადება არ შესულა და უბნის ინსპექტორი ამის გამო თითქოს ვერც დაიწესებდა მეთვალყურეობას. მაგრამ მილიციას ეკალება ამგვარი ავადმყოფის აღრიცხვაზე აყვანა და სისტემატური კონტროლი, მაგრამ ამის გამო, რომ ამ ავადმყოფების უმეტესობა გარეგნულად არ ამჟღავნებს აგრესიულობას, ამაგე დროს ოჯახის წევრები და მეზობლებიც ირწმუნებიან, რომ მათთან ყველაფერი წესრიგშია, მილიციაც ადუნებს კონტროლს, რასაც შედეგად ტრაგედია მოსდევს.

აქ, ჩვენი აზრით, არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება სამედიცინო სამსახურს, რადგან მათ, როგორც სპეციალისტებმა, კარგად იციან, რომ, მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულს გარეგნულ სიმშვიდეს ყოველ წუთს შეიძლება მოჰყვეს „აფეთქება“. ქ. რუსთავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარმა ექიმმა ა. ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ შიზოფრენიის მარტივი ფორმაც კი (რუსთაველი ასეთმა ავადმყოფმა მოკლა საკუთარი და) არის ერთ-ერთი უმძიმესი დაავადება, და საერთოდ, ყველა სულიერი ავადმყოფი საშიროებას წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის.

რაკი ასეა, სამედიცინო სამსახურმაც უნდა გააძლიეროს კონტროლი ამ მიმართულებით. სულიერი ავადმყოფების მიერ წელს ჩადენილი ხუთი მკვლელობის გამოძიებისას აღმოჩნდა, რომ მუდმივი სამედიცინო კონტროლი არც ერთ ავადმყოფზე არ იყო დაწესებული.

ვიცით, სამედიცინო სამსახურის მუშაკებსაც უჭირთ სათანადო მკურნალობისა და მუდმივი კონტროლის განხორციელება. ორი ათასზე მეტი სულიერი ავადმყოფი, რომელიც სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებს, საკუთარ ოჯახში იმყოფება, რადგან რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოებს არ ჰყოფნით საწოლი ადგილები. მედიკამენტების უკმარისობისა და სამედიცინო პერსონალის გადატვირთვის გამო არ ხერხდება ამ კონტინგენტისათვის სრულყოფილი ამბულატორიული მკურნალობაც.

ყოველივე ამის გამო, ერთი მხრივ, მკურნალობის გარეშე რჩებიან ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ მთელი საზოგადოებრიობის ჰუმანური და პრაქტიკული თანადგომა, მეორე მხრივ, კი ნებსით თუ უნებლიეთ, მათი სახით ოჯახებში გვყავს ადამიანები, რომლებსაც ყოველ წუთს შეუძლიათ უმძიმესი დანაშაულის ჩადენა.

ამ პრობლემით ალბათ მთელი საზოგადოებრიობა უნდა დაინტერესდეს და შემუშავდეს კომპლექსური ღონისძიებები მის გადასაწყვეტად.

ისე როგორც ყველა სხვა დანაშაულს, მათ შორის საყოფაცხოვრებო კონფლიქტს ნიადაგზე მომხდარ მკვლელობას, აქვს ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური საფუძვლები. ამიტომ ამ დანაშაულთან ბრძოლაში მარტო სამართალდამცავი ორგანოები ვერაფერს გახდებიან. მოლიციამ შეძლება გაარკვიოს დანაშაულს მოტივები და განახორციელოს სასთანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები; ეკონომიკური, სოციალური, მორალური-ზნეობრივი. პრობლემებს კი ხელისუფლებამ, მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა მიხედოს.

ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲑᲚᲝᲙ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ორგანო „ცხოვრება“-ში დაიბეჭდა „ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს „შესახებ“, რომლის გამოც ბლოკ „თავისუფლებას“ საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს კომპარტიის ამ დოკუმენტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც პოლიტიკურ აქტს, როგორც სხვა არანაირად არ შეიძლება შეფასდეს, თუ არა:

1. როგორც დეკლარაცია პოლიტიკური თანამშრომლობისა უცხო სახელმწიფოსთან მისი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებლად საქართველოში და, მაშასადამე

2. როგორც პირდაპირი ხელყოფა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა დეკლარირებულის 1991 წლის 9 აპრილის სპარლამენტო აქტითა და რესპუბლიკის კონსტიტუციით;

3. როგორც პოლიტიკურ-ორგანიზაციული მზადყოფნა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისათვის, სსრკ-ის საიმპერიო სამხედრო ძალის დახმარებით რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კომპარტია წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციულად გაფორმებულ აგენტურას, მის „მეზუთე კოლონას“, პოლიტიკური პარტიის სახელით მოქმედს. ამგვარად, საქართველოს კომპარტიის სახით ჩვენ სცენა გვაქვს კრიმინალურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რომლის არსებობაც ანტიკონსტიტუციურია და რომელიც, ამდენად, უნდა გამოცხადდეს კანონგარეშედ.

მიგმართავთ საქართველოს უზენაეს საბჭოს, თავის უახლოეს სხდომაზე განიხილოს საკითხი, თუ რამდენად კონსტიტუციურია არსებობა ამ პარტიისა და, კერძოდ, რამდენად კანონიერია მისი წარმომადგენლობა რესპუბლიკის პარლამენტში.

და ბოლოს, ბლოკი „თავისუფლება“ შემოდის წინადადებით, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით.

თბილისი. 21 აგვისტო 1991 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, გაზეთ „ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს სხდომის ანგარიში.

საგაზეთო მასალიდან ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს მხარი დაუჭირა ანტიკონსტიტუციური ძალების მოქმედებას.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს არ აკეთებს საჭირო დასკვნებს და აგრძელებს ორმაგ თამაშს, ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ერთმა ჯგუფმა, ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა და მისი აპარატის მუშაკმა, ბევრმა რგოლმა წევრმა არაერთხელ გამოთქვა თავისი შეურიგებელი პოზიცია ამ უზნეო მოქმედებების თაობაზე.

ეს გარკვეულ ნაწილში დადასტურდა 11 კომუნისტი დეპუტატის გაფცხადებითაც, რომელიც გამოქვეყნდა „აზალგაზრდა იერიონში“ ამა წლის 23 ივლისს, ამის მერე, რაც ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ უარი თქვა დასმული პრობლემების განხილვაზე. ამავე საკითხებზე მიუთითებდა გაზეთ „ცხოვრებაში“ ამა წლის 23 თებერვალს გამოქვეყნებული წერილი — „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვაო მყოობადი“.

მოგვიანებით, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს უკანასკნელი ნაბიჯი შეურაცხმყოფელია არა მარტო პარტიის წევრებისათვის, არამედ ჩვენი ერისა და საზოგადოებრიობისათვის.

ამიტომ ვთვლით: სასწრაფოდ მოწვეულ იქნეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმი.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ პლენუმის მოწვევამდე შეწყვიტოს საქმიანობა.

პლენუმზე, განხილული იქნეს საკითხი საქართველოს კომპარტიის, როგორც კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის, შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ.

ᲗᲐᲜᲓᲐᲠ ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲓᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲮᲩᲘᲮᲘᲜᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲙᲘᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲜᲩᲘᲜᲐᲫᲔ, ᲐᲠᲩᲘᲚ ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ, ᲢᲠᲘᲜᲘᲢᲐᲢ ᲚᲐᲑᲐᲠᲢᲣᲚᲐᲫᲔ, ᲝᲚᲒᲐ ᲪᲐᲪᲐᲜᲘᲫᲔ, ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲨᲐᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲐᲖᲐᲛᲐᲢ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ.

„ᲐᲠ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲓᲘ ᲫᲐᲚᲚᲘᲡᲐ“

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ კაცი ბუნებით მიმნდობია, მიმტევებელი, თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა ეშმაკეულნ ძალების პირისპირ აღმოჩნდება. ქრისტიანი კაცი ადამიანისაგან ვერ უშვებს იმ სიავერაგის შესაძლებლობას, რომელიც ადამიანურობის ზღვარს სცილდება.

ამას რომ ვწერ, ერთი მწერლის მხატვრული პასაჟი მახსენდება. ბრძოლის ველზე, იარაღშემართული, პირისპირ ხვდებიან გერმანელი და საბჭოთა ჯარისკაცი. ან ერთი დაასწრებს, ან მეორე. ან გერმანელი გამოესალმება სიცოცხლეს, ან საბჭოთა არმიელი. ამ კრიტიკულ სიტუაციაში ღმერთმა მათ გონება გაუნათა. იგრძნეს, რომ მათ არ სურდათ ერთმანეთის სისხლი, იგრძნეს, რომ უაზრო კაცთაკვლის შეკანაკური მონანიენელი იყვნენ. მიხვდნენ, რადგან ერთსაც შეეხანა საკუთარი სიცოცხლე და მეორესაც. აქედან გამომდინარე, ერთიც დამნდობი გახდა მეორის არსებობისადმი და ეს უკანასკნელიც პირველის მიმართ. ზურგი შეაქციეს ერთურთს მებრძოლებმა და თავის გზით წავიდნენ...

მაგრამ...

საბჭოთა არმიელს ბოლშევიკურმა მორალმა შეაზსენა თავი. კვლავ შემოუბრუნდა და გერმანელს ზურგში დაახალა ტყვია...

ამ ბოლშევიკმა კერძო კაცი კი არა, ყველაზე დიდი ადამიანური გრძნობა — ნდობაც დაბერტა.

ბოლშევიკი ჯარისკაცის საქციელი მთელი მისი პარტიის მიმართ შეიძლება განზოგადდეს.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ.

არადა, ადამიანი, **ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ,** როგორც ვთქვი, ბუნებით მიმნდობია, მიმტევებელი. ეს დიდი, ნათელი გრძნობა კი, ვგონებ, მოჭარბებულადაც გვაქვს ქართველებს.

რაც ბოლშევიკურ კომუნისტური ჭირი შემოიჭრა საქართველოს ისტორიაში, ამ მოჭარბებულმა გრძნობამ სიკეთისა, ქართველებს, არაერთგზის წაგებიანებია კისერი.

1918-1921 წლებში ბოლშევიკების პარტია საქართველოში სულს ღაფავდა. არც ხალხი ჰყავდათ ბევრი, არც ძალაუფლება ჰქონდათ, არც კაცობა და არც ნამუსი. ეს გაჭირვებულები; მათი მოღალატური მიზნების მიუხედავად, დამოუკიდებელ საქართველოს შეეცოდა, მაინც ქართველები არიანო. არც დაუხვრეტიათ, არც გაუსახლებიათ. ის კი არა, თავისი გაზეთიც ჰქონდათ — „საქართველოს კომუნისტი“, ლეგალური გაზეთი, და გარეთაც თავისუფლად დაპარპაშობდნენ.

რა მოვიგეთ ამით?

რუსი თავს დაგვსხეს და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე მთელი ქართველი ერი კედლთან მიაყენეს. საკუთარი სამშობლო (თუმცა ასეთი ცნება მათ ლექსიკონში მხოლოდ ცარიელი სიტყვაა) ათოხნეს და გადათოხნეს.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს დასავლეთ საქართველოში აჯანყებულებმა კომუნისტები დაიჭირეს, მაგრამ არავინ დაუჯიათ, შინ გაუშვეს. თვითონ კი, როცა მობრუნდნენ ეს წეთელი ეშმაკები, სოდომ-გომორის ცოდვა დაატრიალეს.

მაინც ვერ ვისწავლეთ ჭკუა. ჩვენშინ ნდობა ვერა და ვერ დაბერტეს...

აგერ, ახლაც, კომუნისტებზე გინება ყურს უსიამოდ ხვდება.

რაკი გასული წლის ოქტომბერში კომუნისტური რეჟიმი დაიმხო, რაკი კომუნისტები მართლა კურდღლებივით შეძვრნენ სოროებში, რაკი ისინი, ყოფილი ყოველსშემძლენი, ალარაფერს ალარ წარმოადგენდნენ, დაჩაგრულები დავარკვეთ, დაჩაგრულ კაცს კი წინსლს არ სცემენ.

მართალი ვთქვა, კომუნისტების გასაგინი მუდამ რომ მძულდა, მათი დამარცხების შემდეგ, სძულდა მეც გამინელდა, მტრული სახელმწიფოს — სსრკ-ს გუშინდელ აგენტში დღეს ქართველი კაცის დანახვა შურდა, იმ ქართველისა, რომელიც ისტორიის ბედის უკუღმა ტრიალში „ყაენის“ სამსახურში ჩაყენენ, მაგრამ მაინც ქართველია და რაკი ყაენის მზე ისე ალარ მზეობს, დღეს სქართველოსკენ მოიხედავს-მეთქი — ასე ვფიქრობდი.

ეტყობა, მწარედ ვცდებით ქრისტიანენი. ვითარცა „არ გასწორდების კუდი ძალისა და არცა კირჩხიბი იწყების მაღლით ვლას“, ეგრე საქართველოს კომპარტია არ მოიშლის მისთვის ბუნებრივ საქციელს — საქართველოს ღალატს. როგორც კი მოსკოვში სამხედრო გადატრიალება მოხდა, როგორც კი იმპერიის ყველა კუთხეში იარაღის ჟღარუნის ხმა გაისმა, ამ ჩვენმა „დაჩაგრულმა“ და „პრეზიდენტის „ერთგულმა“ კომუნისტებმა უცვე წამოყვეს თავი და 21 აგვისტოს, გაზეთ „ცხოვრების“ საშუალებით, მთელ საქართველოს აუწყეს ჩვენი დანგრეული ეკონომიკის შესახებ. ისე ლაპარაკობს საქართველოს კომპარტიის ბიურო დაქცეულ ეკონომიკაზე, თითქოს თვითონ სამოთხეში დაგვტოვეს, ამ ახალმა ხელისუფლებამ კი სწორედ სამოთხიდან გამოგვაძევა.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. ცხოვრება არავის მოგვწონს, ყველა ენატრება ულეველი და კომუნისტებს ამისი თქმა მკრეხელობაში არ უნდა ჩავთვალოთ.

მკრეხელობა სხვა რამ გახლავთ. ისინი ჭირისუფლისა და გულშემატკივრის კი არა, მტრის პოზიციიდან ბგერავენ.

„მიდის ომი საკვეშრო კანონებთან, რითაც მკვიდრდება უკანონობა“-ო. ან, ეს აწუხებთ მათ, საკვეშრო კანონებთან ომი აწუხებთ, სიტყვა დამოუკიდებლობა აგიგებთ და ამას შავით თეთრზე წერენ კიდეც. უფრო მართალი რომ ვთქვა, არც ეს არის ქართველ კომუნისტთა გულისტკივილის და გაბოროტების მთავარი მიზეზი. შუბი არ დაიმალა ხალთაში. როგორც კი გამოიჭრნდათ იმედი კომუნისტური რეჟიმის აღდგენისა და ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდებისა, ფეხებზე დაიკიდეს ძველი დაპირებები — საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში თქვენთან ვართო და უდღეური „ხუტტის“ გასაგონად შეღაღადეს: **„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დროულად, მიზანშეწონლად მიიჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება“.** იქვე ჩვენც მოგვიწოდებენ ეს იუდები, — საგანგებო კომიტეტს მხარი დაუჭირეთო.

უდღეური რომ არ აღმოჩენილიყო „ხუტტის“ არსებობა, საქართველოს ახალი ორეონიკიეები მოვლინებოდნენ ამ ბიუროს წევრთა სახით.

გამეჩხერ